№1970
F 332

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტური განათლება

სსრკ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო

8 აგვისტო, 1937 წ. № 72 (872) ფასი 10 კაპ.

თვალსაჩინოდ გავაუმჯობესოთ საკლუბო მუშაობა

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გამარჯვებულ სოციალიზმის ქვეყანაში დიდად გაიზარდა მშრომელთა მასების კულტურული მოთხოვნილება. თითოეულ მშრომელის მოთხოვნილებაა ღრმად ჩაწვდეს კულტურას და უხვად მიიღოს მისგან ყველაფერი, რაც მის გრძნობებს და ესთეტიკურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს და ხდის მას სოციალიზმის ქვეყნის ღირსეულ კულტუროსან მოქალაქედ.

ამ მიზანს ემსახურებიან ჩვენში კულტურულ - განმანათლებელი დაწესებულებანი, რომელთა ქსელი დღითიდღე ფართოვდება.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკლუბო მუშაობას, რომელსაც ახალი ვითარება და მასების გაზრდილი მოთხოვნილება დიდ ამოცანებს უყენებს.

ჩვენში ცოტა როდია ისეთი საკლუბო დაწესებულება, რომელიც ჩინებულად მუშაობს და შეაქვს მასებში სოციალისტური კულტურის სხივები. მაგრამ არც ისეთი კლუბია იშვიათი, რომელიც ძალზე ცუდად მუშაობს. მთელ რიგ რაიონებში კლუბი მხოლოდ ფორმალურად არსებობს: არა აქვს სცენა და საჭირო ინვენტარი, არ წარმოებს წრეების მუშაობა და სხვ. რაც შედეგია ადგილობრივი პროფესიული და სხვა ორგანიზაციათა სუსტი ხელმძღვანელობისა.

რა სახის მუშაობა უნდა აწარმოონ ამჟამად საკლუბო დაწესებულებებმა? პირველ რიგში ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა სტალინური კონსტიტუციის შესწავლისა და პროპაგანდისათვის, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ამ პლენუმზე ამხანაგ სტალინის მოხსენების და საბოლოო სიტყვის შესწავლისათვის, ფართოდ უნდა განემარტოს მშრომელებს „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება", რომელიც დაყვანილი უნდა იქნეს თითოეულ მშრომელამდე მასობრივ კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის ყველა ფორმის გაშლით; მშრომელთა თვითგანვითარებისა და მეცნიერულ - ტექნიკურ ცოდნის ამაღლების მიზნით, უნდა გაფართოვდეს საწრეო მუშაობა, რისთვისაც უნდა შეიქმნეს ყოველგვარი პირობები; ამ მიზნით კლუბს ხელმძღვანელობამ თავის გარშემო უნდა დარაზმოს სოფლის მთელი აქტივი კოლმეურნეთა და კულტურულ ძალებიდან; გააძლიეროს კონსულტაციები და თვითმოქმედი წრეების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებით გამოავლინოს ხალხური მხატვრული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები; გააძლიეროს ანტირელიგიური პროპაგანდა, რისთვისაც უნდა შემუშავდეს საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ხასიათის კონკრეტული ღონისძიებანი, უნდა გაუმჯობესდეს მშრომელთა კულტურული დასვენებისა და გართობის ხარისხი, ფართოდ უნდა წარიმართოს მუშაობა აგრეთვე მშრომელთა ფიზიკური განვითარებისა და შრომისა და თავდაცვის ნორმების ჩაბარებისათვის და სხვ.

ამ ამოცანათა შესრულების ირგვლივ უნდა გაამახვილონ ყურადღება საკლუბო დაწესებულებებმა. ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს უნდა შეხვდნენ მომზადებული, რაზეც განათლების სახ. კომისარიატის მიერ გამოცხადებულია კონკურსი. საკლუბო დაწესებულებათა დასაჯილდოებლად, რომელთაც ექნებათ მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლები, გამოყოფილია 20 ათასი მანეთი. დაჯილდოვებული იქნებიან როგორც საკლუბო დაწესებულებანი, ისე მათი მუშაკები კულტინვენტარით და ფულით. ფულადი ჯილდო მიეცემა აგრეთვე იმ რაიაღმასკომების, სასოფლო საბჭოებისა და განათლების განყოფილებათა მუშაკებს, რომლებიც სანიმუშოდ დააყენებენ საკლუბო მუშაობას.

ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავამდე არც ისე ბევრი დროა. განათლების განყოფილებათა მუშაკებმა, ადგილობრივ პროფესიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ მუშაობა დასახულ მიზნების განსახორციელებლად.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით გამოვლინებულ უნდა იქნეს საკლუბო მუშაობის ხელშემშლელი მიზეზები, დროულად უნდა აღმოვფხვრათ ამ საქმეში უპასუხისმგებლობა, უდარდელობა და შევიმუშაოთ კონკრეტული ღონისძიებანი საკლუბო დაწესებულებათა მუშაობის თვალსაჩინოდ გაუმჯობესებისათვის.

◆

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპეშათა სააგენტოს ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი

31 ივლისს, 24 საათზე, ცენტრალური ფრონტის ყველა უბანზე შედარებითი სიწყნარე იყო.

სექტორში მდინარე ტახოს სამხრეთით მეამბოხეებმა სცადეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე იერიშის მიტანა სოფელ მოსკიტოსთან. მეამბოხეთა იერიში მოგერიებულ იქნა.

რესპუბლიკელთა ავიაციამ 31 ივლისს ყუმბარები დაუშინა სამხედრო ობიექტებს პოსუელო დე ალარკონში (დაახლოებით 10 კილომეტრზე მადრიდის დასავლეთით) და საბარგო ავტომობილების და ცისტერნების კოლონას არავაკიდან (6 კილომეტრზე მადრიდის ჩრდილო-დასავლეთით) პოსუელო დე ალარკონში მიმავალ გზაზე, აგრეთვე სამხედრო ობიექტებს მახადაონდში (15 კილომეტრზე მადრიდის დასავლეთით).

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

რესპუბლიკელთა ავიაციამ 31 ივლისს ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა პოზიციებს და სროლა აუტეხა ავტოკოლონას, რომელიც მონტალბანისაკენ (ტერუელის ჩრდილო-აღმოსავლეთით) მიიმართებოდა.

მეამბოხეთა თვითმფრინავებმა სცადეს 31 ივლისს ღამით ბარსელონისათვის ყუმბარების დაშენა, მაგრამ უკუქცეულ იქნენ რესპუბლიკელთა საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

31 ივლისს დილით მეამბოხეთა ჰიდროთვითმფრინავი თავს დაესხა კანეტ დე მარს, ბლანესს, სან ფელიუ დე გიხოლსს, პალამოსს (ქალაქები, რომელნიც მდებარეობენ ბარსელონის ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის ნაპირზე).

იაპონიის ინტერვენცია ჩინეთში

ინტერვენტთა სიტყვა და საქმე

ბეიპინი, 1 აგვისტო (საქდესი). აქ შესდგა ხებეი-ჩახარის პოლიტიკური საბჭოს პირველი სხდომა ჩან ძე-ჩუნის თავმჯდომარეობით და საბჭოს რვა იაპონოფილი წევრის მონაწილეობით. ჩან ძე-ჩუნმა საღამოთი განაცხადა: იაპონიის განსაკუთრებული მისიის უფროსმა ბეიპინში მაცუიმ პირობა მოგვცა, რომ იაპონელები არ დაუშენენ ყუმბარებს ქალაქს და არ შეიყვანენ ჯარს ბეიპინში, იაპონიის ჯარები მართლაც არ შესულან ბეიპინში, მაგრამ მეთვალყურეები ფიქრობენ, რომ შესვლა მხოლოდ რამდენიმე დღით გადაიდო.

ჩან ძე-ჩუნმა განაცხადა, რომ მე-29 არმიამ საომარი მოქმედების განმავლობაში დაჰკარგა 15 ათასი კაცი, მაგრამ ეს ციფრი გადამეტებულად უნდა ჩაითვალოს. ჩან ძე-ჩუნმა განაცხადა აგრეთვე, რომ იაპონიის ჯარები მიდიან ფინტაისა და ტუნჯოუს შუა რაიონიდან და ბეიპინის ჩრდილო რაიონიდან მიუხედავად ამისა, რამდენიმე ასეული იაპონელი ჯარისკაცი გამოჩნდა ძინხუას უნივერსიტეტის მახლობლად, ბეიპინის ჩრდილო-დასავლეთით. აფეთქების გრიალი ჯერ კიდევ დღეს დილით ისმოდა ბეიპინში.

გააფთრებული ბრძოლა ტიანძინის რაიონში

შანხაი, 1 აგვისტო (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ტიანძინელი კორესპონდენტი იუწყება იაპონიისა და ჩინეთის ჯარებს შორის ტიანძინის რაიონში მომხდარ შეტაკებათა შესახებ. იაპონიის შტაბის ცნობებით, გუშინ ასეთი შეტაკებანი მოხდა ტიანძინის აღმოსავლეთ და ცენტრალური ვაგზლების რაიონში, აგრეთვე ლოფას სადგურიდან (ტიანძინის ჩრდილო-დასავლეთით). პირველი შეტაკება გაგრძელდა დაახლოებით 7 საათს. მეორე შეტაკების დროს მოჰკლეს და დასჭრეს 29 იაპონელი ჯარისკაცი და ტყვედ წაიყვანეს 3 კაცი.

იაპონია მოითხოვს ჩინეთის ჯარების გაყვანას სვატოუდან

შანხაი 31 ივლისი (საქდესი). „სინშისინბაოს" ცნობებით, იაპონიის კონსულმა კანტონში ნაკამურამ ინახულა გუანდუნის ჯარების სარდალი იუ ჰან-მოუ და განმეორებით მოითხოვა ჩინელთა დივიზიის დაუყოვნებლივ გაყვანა სვატოუდან. მოთხოვნა კვლავ უარყოფილ იქნა.

ღალატი ჩინეთის სარდლობაში

ბეიპინი, 31 ივლისი (საქდესი). ჩინეთის ჯარების დაგვიანებითი გამოსვლა ტუნჯოუში, ჩინეთის ჯარების დაქსაქსული საომარი მოქმედება სხვადასხვა უბანზე, ბეიპინის ევაკუაცია ტიანძინსა და ტუნჯოუში გამოსვლების მომენტში, აგრეთვე სხვა ფაქტები აქ ეჭვს ჰბადებენ, რომ ჩინეთის სარდლობაში არიან მოღალატეები და გამცემლები.

◆

მთავარია სასკოლო მშენებლობის და რემონტის ხარისხი

ისევ ახალი სკოლების მშენებლობაზე

თბილისის ახალი სკოლების მშენებლობა ისევ კუს ნაბიჯით მიდის. საჭირო იყო სათანადო დასკვნების გამოტანა, მუშაობის გამოცოცხლება, მაგრამ ვერც თბილისის განათლების განყოფილებამ და ვერც განსახკომმა ეს ვერ გააკეთეს. ამაში თბილისის საბჭოსაც არა ნაკლები დანაშაული მიუძღვის. სკოლებს აკლიათ ხეტყის მასალა, ცემენტი და სხვ. თბილისის საბჭომ ვერ უზრუნველყო თავის დროზე მომარაგება, რაც იწვევს მშენებლობის გაჭიანურებას.

როგორ მიმდინარეობს სასკოლო მშენებლობა სხვა ქალაქებში?

კერძოდ დიდ გარღვევას აქვს ადგილი ქუთაისში და სტალინირში (მშენებელი საქმშენი)

ქუთაისში ახალი სკოლის მშენებლობას ამჟამად ყველა პირობები აქვს, რომ მუშაობა ფართოდ გაშალოს. ქალაქის საბჭო საკმაო რაოდენობით ამარაგებს მშენებლობას მასალებით, მაგრამ საქმშენის ქუთაისის კონტორა მოკლებულია უნარს მუშაობა წესიერათ აწარმოოს.

სტალინირის სკოლის მშენებლობა—ჩამორჩენილია ხეტყის მიუწოდებლობის, აგურის სიმცირისა და ოსეთის განსახკომის მიერ ცუდი დაფინანსების გამო. მშენებლობა ივნისის თვეში შედარებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. მაგრამ უკანასკნელად მეტად ჩამორჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საგეგმო კომისიები სასკოლო მშენებლობისათვის ცენტრიდან დაშვებულ ცემენტის ფონდს ხელახლა ანაწილებენ და ადგილი აქვს გაუგებრობას, უმჯობესია გასული წლის მიხედვით საქართველოს განსახკომი ანაწილებდეს მას.

საბავშვო ბაღების მშენებლობა ჩამორჩენილია ყველგან; სოხუმში, ქუთაისში და თბილისის ორ ადგილზე მშენებლობა ჯერაც არ დაწყებულა.

შედარებით უკეთ არის საქმე ზესტაფონში (შესრულება 14,0 პროც.) და ფოთში (შესრულება 34 პროც.). მშენებლობის დაუწყებლობა ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში პირველ რიგში მშენებლობისათვის ხეტყის დიდი რაოდენობა საჭირო არ არის და სრული შესაძლებლობა არის კედლების ამოყვანას შეუდგნენ.

დ. დოთიაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მეცნიერებისა და სკოლის განყ. ინსტრუქტორი.

რემონტიც ნელი ტემპებით მიმდინარეობს

თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებამ, რაიონულმა საბჭოებმა და მათი განათლების განყოფილებებმა დაგვიანებით დაიწყეს მუშაობა წელს სკოლების შეკეთებაზე. საქმეს თვით განსახკომმაც ვერ მოკიდა ხელი მაგრად, რის შედეგად ზოგიერთ სკოლაში ჯერაც არ დაწყებულა რემონტი.

სკოლების რემონტი შედარებით კარგად მიმდინარეობს ლენინის, კიროვისა და 26 კომუნარის რაიონებში. ძირითადად რემონტი თითქმის დამთავრებულია 26 კომუნარის რაიონში.

განსაკუთრებით მეტი ტემპები ესაჭიროებათ მე-68 (ლენრაიონი) და მე-28 სკოლებს (კიროვის რაიონი).

ორჯონიკიძის რაიონის მე-15, 58, 52 სკოლების რემონტი საერთოდ ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, მაგალითად, მე-96 თურქული სკოლა (დირექტორი ახუნდოვი), მე-16 საშუალო სკოლა (დირექტორი სტურუა), მე-25 საშ. სკოლა (დირექტორი კარსანიძე). აღნიშნულ სკოლებში რემონტი დაიწყო მხოლოდ ივლისის 15-19 რიცხვებში და თითოეულში მუშაობს თითო-ოროლა კაცი; ესენიც ხშირად ცდებიან მასალის უქონლობის გამო. არის სკოლები, სადაც რემონტი არცკი დაწყებულა, მაგალითად მე-78 საშუალო სკოლაში და სხვ.

ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე რემონტის ხარისხს.

სტალინის რაიონში გეგმით 25 ივლისს უნდა დაწყებულიყო რემონტი 15 სკოლაში, მაგრამ დაწყებულია მხოლოდ 5 სკოლაში.

ასეთი მოდუნებული ტემპებით რემონტისათვის საჭიროა 3 თვე მაინც, სინამდვილეში კი დრო ძალიან ცოტაა დარჩენილი. ამიტომ საჭიროა სტალინის და ორჯონიკიძის რაიონების ხელმძღვანელობამ მიიღოს გადამწყვეტი ზომები რემონტის დროულად დამთავრებისათვის.

დ. დ.

უპატრონოდ მიტოვებული სკოლა

სოფ. ობუჯის (წალენჯიხის რ.) სკოლის ფანჯრები, კარი და იატაკი საჭიროებენ რემონტს, შესაკეთებელია აგრეთვე პარტები, დაფები და სხვ. მაგრამ ამაზე არავინ ზრუნავს. ზაფხულის პერიოდში სკოლა უპატრონოდაა მიტოვებული.

სკოლის დირექტორი ბარქაია სადღაც სეირნობს და არ იწუხებს თავს სასწავლო წლისათვის მზადებაზე.

წალენჯიხის განათლების განყოფილებამ უნდა მიხედოს უპატრონოდ მიტოვებულ სკოლას.

ალ. მიქაძა.

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის საზაფხულო მუშაობა

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი ზაფხულის პერიოდში ატარებს მთელ რიგ სამეცნიერო სამუშაოებს. მუშაობის დიდ ნაწილს ასრულებენ სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილიალის ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები. გასულ წელთან შედარებით საქ. საკვლევაძიებო ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ სამეცნიერო მუშაობაში: ზუსტად არის დაცული გეგმიანობა, სამუშაოები და თემები აღებულია ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით.

ინსტიტუტები ითვალისწინებენ მთელ რიგ სამეცნიერო-საცდელ ხასიათის ექსპედიციებს. ექსპედიცია იგზავნება დასავლეთ საქართველოში ბარიტის გამოსაკვლევად ელექტრომეტრიული მეთოდით. ექსპედიციას მეთაურობს გეოფიზიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი ამხ. ვ. ქებულაძე (კომკავშირელი); მეორე ექსპედიცია მიემგზავრება ჭიათურის მარგანეცის გამოსაკვლევად. ექსპედიციამ უნდა გამოიყენოს ქიმიური მეთოდების გამოცდილების შედეგები, რაც პირველადაა მიღწეული სსრკ-ში.

ამ ახლო ხანში გეოფიზიკური ინსტიტუტის პროფ. ნოდიამ დაამთავრა მუშაობა შრომაზე — კავკასიის დეტალური მაგნიტური რუკა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს წარმოადგენს პროფ. ნოდიას სადოქტორო შრომას. ახალგაზრდა მეცნიერმა ამხ. გ. აბაკელიამ შეადგინა კავკასიის გრავიმეტრიული რუკა. გეოფიზიკური ინსტიტუტის მთელი რიგი მეცნიერი მუშაკები ამთავრებენ შრომებს გეოფიზიკის სხვადასხვა თემაზე. დიდ ინტერეს იწვევს აგრეთვე. ვ. ქებულაძის, ა. ბუხნიკაშვილის და ჩხენკელის შრომები, რომლებიც არკვევენ რადიოაქტიობის საკითხებს საქართველოს რამდენიმე მინერალურ წყაროებზე. თვითეული გეოფიზიკური გრავიომეტრიულ საკითხებს, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. არკვევენ უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები კომკავშირელი ჯიქია და სხვ.

მთელი რიგი ექსპედიციები მიემგზავრება თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტიდან, ეს ექსპედიციები იმუშავებენ კავკასიის ალპიურ საძოვრების შესწავლაზე. სამეგრელოს მაღალი მთების შემსწავლელმა ექსპედიციამ უნდა შეისწავლოს სამეგრელოს ალპიური საძოვრების მცენარეები. დიდი მუშაობა ტარდება აგრეთვე ბაკურიანში. აქ სწავლობენ ალპიურ მცენარეების სახეებს, მუშაობენ აგრეთვე დეკორატიულ მცენარეებზე და სხვ. რამდენიმე ექსპედიცია იწყობა აგრეთვე აკად. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და ნივთიერი კულტურის ინსტიტუტის მიერ. ამ ინსტიტუტის ბაშკირეთის ექსპედიციამ უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს ბრინჯაოს კულტურის ძეგლების წარმოშობა და სხვ. დიდი კოლხეთის სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით იგზავნება ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში. ცალკეულ მეცნიერთა ჯგუფები შეისწავლიან უდინების ენას — ერთერთ ყველაზე ძველ ენას, რომელიც შემონახულა საქართველოსა და ა-კავკასიაში. ინსტიტუტი განაგრძობს მუშაობას აფხაზურ-ქართულ - რუსულ ლექსიკონზე. რისთვისაც დაავალა თავის მეცნიერ მუშაკებს დამატებითი მასალების შეკრება ადგილზე.

ზაქ. რამიშვილი

გავხადოთ თვითეული კლუბი მშრომელთა კულტურულ დასვენებისა და გართობის კერად

კურსების მეცადინეობა ჩაშლილია

ბორჯომი — ბალში გახსნილია განათლების განყოფილების ინსპექტორთა, კულტსახლებისა და მასობრივი კლუბების გამგეთათვის გადასამზადებელი კურსები. მეცადინეობა დაიწყო 1 ივლისს და გასტანს 15 აგვისტომდე.

სამწუხაროდ, კურსები მოკლებულია ყოველგვარ პირობას, რაც აუცილებელია კურსების ნაყოფიერ მუშაობისათვის.

დღემდის კურსებს არა აქვს სასწავლო გეგმა და მეცადინეობის ცხრილი. ამიტომაა, რომ მსმენელები ლექციებს შემთხვევით ესწრებიან.

კურსებზე (ზოგიერთის გამოკლებით) მოწვეულია შემთხვევითი ლექტორები, რომლებიც ნაკლებად ერკვევიან საგნის მიზანდასახულობაში და ცარიელი სიტყვების რახუნის მეტს არაფერს აკეთებენ, მაგ., კონსტიტუციის მასწავლებელი ხვადაგიანი სრულიად მოუმზადებელია ამ საგნისათვის, დასმულ კითხვებზე პასუხს ვერ იძლევა.

საბიბლიოთეკო ტექნიკა (ლექტ. გიორგაძე) წაკითხულ იქნა სამ საათში. ლექციების დამთავრებისთანავე ლექტორი წავიდა, არ ჩაუტარებია პრაქტიკული მუშაობა.

იკითხება ლექციები, იწერება კონსპექტები, მაგრამ სრულებით არ წარმოებს პრაქტიკული მუშაობა.

დირექციამ ვერ მოაწყო ბიბლიოთეკა, რომ კურსანტებს მისცემოდათ საშუალება ესარგებლათ ლიტერატურით.

მ. ცაკაშვილი

უსიცოცხლო კლუბი

— ფოტოწრე გაქვთ?
— არა.
— რადიოწრე?
— არა.
— ლიტ. წრე?
— არის, მაგრამ არ მუშაობს...

ასე გვიპასუხა სუჯუნის თემის (აბაშის რ.) კლუბ-სამკითხველოს გამგემ გ. ქოიავამ, როდესაც მას შევეკითხეთ კლუბის მუშაობის შესახებ.

მოკლედ ამ კლუბის მუშაობის კვალი არც ერთ დარგში არ ჩანს. კლუბს გათვალისწინებული აქვს ბიუჯეტით 1000 მანეთამდე, რომლიდანაც დახარჯულია 445 მანეთი, იანვრიდან მაისამდე კლუბში გამოვიდა კედლის გაზეთის მხოლოდ ორი ნომერი. ისიც უშინაარსო. წიგნები ხომ სულ არა აქვს კლუბს.

იქაური.

ვითომ ყველაფერი რიგზეა

როცა შედიხართ ნოქალაქევის კლუბში, ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზე მოგეჩვენებათ: კედლებს ამშვენებს სურათები და პლაკატები, არის დეკორაციები და სხვ. მაგრამ ფაქტიურად კლუბი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. ერთ წელზე მეტია, რაც აქ წარმოდგენა არ დადგმულა, არც ერთი საღამო არ ჩატარებულა; კლუბთან არც ერთი სახის წრე არ არსებობს, არ გამოდის კედლის გაზეთი. რომ კითხოთ კლუბის გამგეს, თუ რატომ არ ღებულობს ზომებს საკლუბო მუშაობის გამოსაცოცხლებლად, გიპასუხებთ: ახლა სასოფლო-სამეურნეო კამპანია მიმდინარეობს და კლუბის მუშაობაზე რა დროს ლაპარაკიაო. მან დღემდე ისიც არ იცის, რომ კლუბი კულტურულ მომსახურეობას უნდა უწევდეს სამეურნეო კამპანიას — უმართავდეს კოლმეურნეებს აგროსაუბრებს, აწყობდეს საღამოებს, უშვებდეს საველე გაზეთებს და სხვ.

კლუბის უვარგისი მუშაობის გამო კოლმეურნეები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

მ. პაჭკორია

ვნახოთ სანამდე მოითმენენ

ძველ-სენაკში არსებობს კლუბი, მაგრამ ვაი ამისთანა არსებობას: ის ძლივს ლაფავს სულს; ერთი ძველი დანჯღრეული შკაფი, სამი ფეხმოტეხილი სკამი და ჩამტვრეული ფანჯრები — აი კლუბის მთელი ავლადიდება.

კლუბს ჰქონდა ორიოდე წიგნი, რაც უკვე გაანიავეს. კლუბს ჰქონდა მშვენიერი ეზო, სადაც კოლმეურნეები ისვენებდნენ, მაგრამ ახლა ის გაპარტახებულია.

19 ივლისს კლუბში მიდიოდა კინოსურათი „ქაჯეთი", რამაც ორასამდე მნახველი მიიზიდა, მაგრამ უცბად იატაკი ჩაინგრა, რასაც კინოლამ მარცხი მოყვა.

საწრეო მუშაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ნეტა სანამდე მოითმენენ გაპარტახებულ კლუბს ადგილობრივი სასოფლო საბჭო და ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილება.

შ. ჭოჭუა,

„სანიმუშო" სკოლა და მისი დირექტორი

ქუთაისის I საშუალო სკოლის დირექტორს ივ. ზვიადაძეს ბევრი „კარგი" თვისება აქვს, მაგრამ ძირითადად მას ახასიათებს ორი რამ: პრინციპულობა და გულკეთილობა. აბა, რა გვეთქმის ამ თვისებათა წინააღმდეგ, რომ ეს მიმართული იყოს სკოლისა და მოსწავლეთა საკეთილდღეოდ. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ პირველი თვისება ხშირად აგდებს ზვიადაძეს ჟინსა და უსაფუძვლო თავმოყვარეობის უფსკრულში, ხოლო მეორე — „ძმა-ბიჭობისა" და კიდევ რაღაცას სფეროში, რაც თვით მის საიდუმლოებას შეადგენს. აბა რა ვიცით, რისთვის მიიღო მან განათლების განყოფილებიდან ატესტატის 6 ზედმეტი ბლანკი, არც ის ვიცით, რატომ ან ვინ მოიპარა „საიმედო" ადგილას შენახული სკოლის ბეჭედი და ზედმეტად მიღებული ატესტატის ბლანკები, ან ვისი ხელით და ვის სახელზე შეივსება ისინი. დე, ყოველივე ეს დარჩეს პატივცემულ ზვიადაძის საიდუმლოდ და სათანადო ორგანოების კვლევა-ძიების ობიექტად, ხოლო რაც შეეხება მეორე თვისებას — პრინციპულობას, ამას კი ვერ დავფარავთ, ვინაიდან ამის შესახებ ხმამაღლა „ყვირის" სკოლის აბრა, რომელსაც დღემდე ამშვენებს წარწერა: **„ქუთაისის I-ლი სანიმუშო სკოლა"**, როდესაც მას მიუთითეს და უთხრეს, რომ გაუქმებულია სანიმუშო სკოლები და შეეცვალა ამის მიხედვით, წარწერა სკოლის აბრასა და ბეჭედზე, მან მრისხანედ განაცხადა:

— არა, არ ვიზამ ამას. პრინციპული კაცი ვარ, მე მინდა, რომ ჩემი სკოლა და მეც ბოლომდე დავრჩეთ სანიმუშო და საჩვენებელი.

— დადგენილება რომ არის ამის შესახებ, გაახსენეს დირექტორს?

— ის დადგენილება ეხება ყველა საცდელ სკოლას, გარდა ქუთაისის I საცდელი სკოლისა.

ასე იცავს თავის ძირითად თვისებებს დირექტორი ზვიადაძე.

ალბათ, ქუთაისის განათლების განყოფილება და თვით განსახკომიც იზიარებენ დირექტორის ამ თვისებებს. მხოლოდ ამით თუ შეიძლება აიხსნას ამ შემთხვევაში მათი დუმილი.

ვ—ძე

თბილისი. ფიზკულტურის პარკი. ორჯონიკიძის რაიონის ბავშვთა გამაჯანსაღებელი მოედანი.

სურათზე: პიონერები (მარცხნიდან — მარჯვნივ) გალინა კელჩევსკაია, თამარ ლოლაძე, ელენე ჩიკვაიძე და ეთერი დოლიძე მზში ნორმების ჩასაბარებლად გაცურვის წინ.

ფოტო რიშკოვისა („ს. ფ." საქ. განყ.)

ჩემი კაცია — მის წინააღმდეგ არაფერი თქვათო

კავთისხევის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად გასულ სასწ. წელს მუშაობდა რუბენ შენგელია, რომელიც შეუფერებელი იყო როგორც ერთი, ისე მეორე საქმისათვის.

შენგელიას „მეთოდური" შეხედულებით წერის ჩვევების გამომუშავება მოწაფეებში მხოლოდ ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის საქმეა. მას მეტად უყვარს „ევრისტიკული" მეთოდი. ამით ფიქრობს გააქტიუროს მოსწავლეები. მაგრამ შენგელიას ევრისტიკულ მეთოდს ნამდვილად ამ მეთოდის ნიშანწყალიც არ გააჩნია.

სასწავლო ნაწილის გამგეს უნდა ჰქონდეს ყველა მასწავლებლის სამუშაო გეგმები. სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში არ იყო სამუშაო გეგმები ხაზვისა და უცხო ენაში. შენგელიას ამაზე თავი არ შეუწუხებია. მოწაფეებმა არაფერი იციან ხაზვაში. უცხო ენაში გავლილია მხოლოდ 4 გვერდი—9 პარაგრაფი, ჟურნალში კი აღნიშნულია 14 პარაგრაფი. ეს მხოლოდ თვალის ასახვევად. შენგელია ხაზვისა და უცხო ენის საათებს ახმარდა მათემატიკას. მათემატიკურ საგნებში პროგრამა მაინც არაა მთლიანად ამოწურული და შეთვისების ხარისხიც ცუდია, რასაც ადასტურებს ის, რომ მე-8 კლასში (ასწავლიდა შენგელია) 24 მოწაფიდან საგამოცდო წერითი შრომა ალგებრაში შეასრულა მხოლოდ 3-მა.

რა აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობა შეეძლო შენგელიას, როდესაც ის მთვრალი შედის ხოლმე გაკვეთილზე. მაგალითად, ა-წ. 14 მარტს მთელი ღამე ლოთობაში გაატარა, რაშიც სხვა მასწავლებლებიც ჩაითრია და 15 მარტს დილით მთვრალები შევიდნენ გაკვეთილებზე თვითონ შენგელია და ნაკაშიძე, ვერ შესძლეს გაკვეთილების გადაცემა და 15 მარტს მეცადინეობა ჩაიშალა სკოლაში.

შენგელიას „საგმირო საქმენი" თავის დროზე იცნობა განათლების განყოფილებას. მაგრამ მას მფარველად მოევლინა განათლების განყოფილების ინსტრუქტორი [illegible] ტყაბლაძე. რომელმაც საჯაროდ განაცხადა: შენგელია ჩემი კაცია—მის წინააღმდეგ არაფერი თქვათო.

ვფიქრობთ, განსახკომი გასწმენდს საბჭოთა სკოლის შენგელიასებრ მასწავლებლებისაგან.

ან ჯაკარაძე

არაორგანული ქიმიის სწავლების შესახებ საშუალო სკოლაში*)

საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარებასთან დაკავშირებით ქიმიამ როგორც საშუალო სკოლაში, ისე უმაღლესში ერთერთი თვალსაჩინო და მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები გარდაიქმნენ თანამედროვე მეცნიერების საფუძველზე და განთავისუფლდნენ იდეალიზმის ნაშთებისაგან. დღევანდელი სახელმძღვანელო აგებულია მატერიის აღნაგობის საფუძველზე, ექსპერიმენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული თეორიასთან. ამდენხანს თუ მარტო ატომის გარსს აქცევდენ ყურადღებას, ახლა ღრმად იჭრებიან ატომის გულში. დღეს ატომის რღვევის ეპოქაში, როდესაც უკვე სადაო საკითხს არ წარმოადგენს ხელოვნური ელემენტების მიღება, ფიზიკისა და ქიმიის მიღწევების შედეგად ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ელექტრონს, პროტონს, ნეიტრონს, პოზიტრონს. მტკიცე ელექტრონული ხიდი გაიდო ფიზიკასა და ქიმიას შორის, და, რაც მთავარია, ამის გამო დღევანდელი ქიმია ნივთიერების უფრო მეტ საინტერესო თვისებებს ეძებს, ვიდრე მის ცალიერ შემადგენლობას.

არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ, თუ გინდ საშუალო სკოლაშიც, რომ ქიმია ისევ ძველი გზით ვასწავლოთ ან თუნდ იმ დღევანდელ სტაბილურ პროგრამითა და სახელმძღვანელოთი, რომელთა მიღების შემდეგ ქიმიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა სხვადასხვა აღმოჩენებით. ნეიტრონი, პოზიტრონი, ხელოვნური რადიოაქტიობა და სხვ. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები გვარწმუნებს იმაში, რომ საშუალო სკოლა ჯერ კიდევ ვერ გვაძლევს უმაღლესი სკოლისათვის საკმაოდ მომზადებულ მოსწავლეებს. ისინი ვერ ერკვევიან ელემენტარული ქიმიის ძირითად საკითხებში. ამავე დროს უმაღლესი სკოლა იძულებულია საკმაო დრო დახარჯოს სანამ სტუდენტი ელემენტარულ საკითხებს გაეცნობოდეს. ეს ის საკითხებია, რომლებიც უნდა გაშუქებული იყო მეშვიდე კლასში.

აღსანიშნავია, რომ ქიმია, როგორც ბევრი მოწაფისათვის, ისე მასწავლებლისთვისაც, ძნელ საგნად არის მიჩნეული. მისი — „ძნელე" საგნის ცუდ დაყენებაში უნდა ვეძიოთ. ერთერთ ძნელ საკითხს დაწყებით ქიმიაში ვალენტიანობა წარმოადგენს. დახელოვნებულ მასწავლებელსაც კი უხდება ბევრი დროის დახარჯვა, სანამ ერთგვარ სისტემაში მოიყვანდეს ქიმიის ძირითად საკითხებს, მაგრამ იგი მაინც უსისტემოდ რჩება. მეშვიდე კლასის ფიზიკის კურსში საკმაო დრო აქვს დათმობილი ელექტროლიზურ დისოციაციას და ელექტროლიზს, სადაც განხილულია აგრეთვე მეორეული პროცესები. ატომის აღნაგობა მოცემულია მეტად გაუგებრად და არადამაჯერებლად. ამ სირთულეს თავს ფიზიკაში ან სრულებით სტოვებენ ჩვეულებრივად ანდა გადასცემენ გალვანური ელემენტებისათვის მხოლოთ აღწერილობით და არა ახსნით. გალვანური ელემენტები გვაძლევენ ელექტრულ ენერგიას ქიმიური ენერგიის ხარჯზე. ქიმიური რეაქცია ელექტროქიმიური პროცესია. აი საკითხები, რომლებიც უეჭველად აქვე უნდა იქნეს გარჩეული და შესწავლილი. მით უმეტეს, რომ, როცა მოწაფემ იცის პოლარული მოლეკულების არსი, რეაქციის ელექტრულად გარჩევა, მისთვის ადვილია, როგორც დენის აღძვრის, ისე გალვანური ელემენტების აგებულების ცოდნა. ელექტროლიზი და სხვა. ცხადია, ეს საკითხები ქიმიის ძირითადი საკითხებია და ქიმიაში უნდა იქნეს ახსნილი, რაც მეტად დაეხმარება და გააღრმავებს ფიზიკის შესწავლას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს ეს თავები დატოვებული ფიზიკაში, ისე როგორც ეს დღეს ხდება.

ჩვენი მიზანია, შვიდი კლასის დასრულების შემდეგ მოწაფემ იცოდეს ელემენტარული ქიმიის ძირითადი კანონები და საკითხები: ტუტე, ფუძე, მჟავა, მარილი და ხსნარი, დადებითი და უარყოფითი ვალენტიანობა. ამ მიზნებისათვის საჭიროა აუცილებლად ვალენტიანობა განხილული იქნეს ელექტრულად, ატომის აღნაგობის საფუძველზე მოკლე ცხრილის გამოყენებით, სადაც მოცემული იქნება უმთავრესი ელემენტების დადებითი და უარყოფითი ვალენტიანობა, დაცული ჯგუფის ნორმის მიხედვით, სინამდვილეში ჩვენ ვხმარობთ ელემენტების ერთგვარ დალაგებას, რაც საფუძველი იქნება მენდელეევის ცხრილის შემდგომი გამოყენებისათვის.

ელექტრონული ქიმიის სწავლებისათვის, ცხადია, არ გამოდგება ვერხოვსკის წიგნი და მასში დალაგებული მასალა. მეშვიდე კლასში სრულებითაც არ არის საჭირო ხის მშრალი გამოხდა, ბრძმედული პროცესები, სხვადასხვა ქარხნული დეტალიზაცია და აგრეთვე ორგანული მჟავები. რომლებიც მოცემულია მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოში. ცენტრალური ადგილი „ჟანგეულები, ფუძეები, მჟავეები და მარილები" სახელმძღვანელოში მეტისმეტად უსისტემოდ არის მოცემული. იქ, სადაც საჭიროა უკვე მხოლოდ თვისებების ცოდნა და სწავლა. განხილულია ვალენტიანობა—თითქოს აქამდის ზეპირად უნდა გვესწავლებიათ უამრავი ფორმულა. სინამდვილეში სწორედ ასე ხდება.

ვერავითარი ხერხი ვალენტიანობის გასაგებად და ქიმიური ფორმულის ანგარიშიანობით შესადგენად ვერ აჯობებს ელექტრონულ ხერხს. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, ეს მხოლოდ ხერხი და მეთოდი კი არ არის, ეს სინამდვილეა და სწორედ სინამდვილეს უნდა ვსწავლობდეთ ჩვენც. ამ მიზნით ჩემს მიერ ჩატარებული იყო ცდა მე-59 სკოლის მეშვიდე კლასში. როცა მოწაფეები უკვე გაცნობილი იყვნენ მოლეკულურ თეორიას, ჰქონდათ წარმოდგენა ატომზე და მოლეკულზე შეეძლოთ წერა მარტივი გაზების მოლეკულების. იცოდნენ ატომიურ-მოლეკულური წონები. მე დავიწყე წყლის, ქლორნატრიუმის, შაბიამანის, ელექტროდენით დაშლით, როცა დარწმუნდნენ მოწაფეები, რომ მათი შემადგენელი წყალბადი და სპილენძი დადებითად იყვნენ დამუხტული, ჟანგბადი ქლორი კი უარყოფითად, საჭირო შეიქნა გადასვლა მიზეზის ახსნაზე. ამ მიზნით ნაჩვენები იყო სქემატურად წყალბადის, ნატრიუმის, კალციუმის, ნახშირბადის, აზოტის, გოგირდის, ქლორის, არგონის ატომების სქემები. მიეცა წარმოდგენა მტკიცე სისტემაზე მეტალთა და მეტალოიდთა, ელექტრონების კარგვისა და შეძენის თანდათანობის გაძნელებაზე. დადებით და უარყოფით ვალენტიანობაზე და სარგებლობდნენ სპეციალურად მდგენილი მოკლე ცხრილით. გამოანგარიშებული იყო ჰიდროქსილის იონის უარყოფითი ვალენტიანობა და სხვადასხვა მჟავების რადიკალების უარყოფითი ვალენტიანობა და შემდეგ გარჩეული იყო იონურად ყველა რეაქცია, მოცემული მეშვიდე კლასის პროგრამაში. დამატებულ იყო ელექტროლიზური დისოციაცია და ელექტროლიზი. მოცემული მასალა სრულიად ადვილად ძალდაუტანებლად შეითვისეს მოწაფეებმა გაგებით, სწორად. მსჯელობით და ანგარიშის საფუძველზე.

ჩემი ცდა პირველი არ არის. იგი როგორც ჩემს მიერ, ისე სხვების მიერაც იყო ჩატარებული სხვადასხვა სკოლაში. ყველას შედეგი იმას გვიჩვენებს, რომ ელექტრონული ქიმიის სწავლება არამც თუ ძნელია, იგი საშუალებაც არის სუსტი მოწაფის გამოსასწორებლად. ვფიქრობთ, რომ უეჭველად დროა გადათვალიერდეს სახელმძღვანელო, რომ საბოლოოდ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას მივსცეთ გასაგები ენით სინამდვილესთან დაკავშირებული და ადვილად შესათვისებელი ქიმიის სახელმძღვანელო. საჭიროა მენდელეევის საზოგადოების სასკოლო სექციამ დროულად დაიწყოს თავის ჩამოყალიბებასთან ერთად ამ საკითხის გარჩევა, როგორც ერთერთი აქტუალური საკითხისა, სექციის მუშაობაში.

ივ. გიორგაძე

---

*) განხილვის წესით.

პ/მგ. რედაქტორი გრ. ხოსელია

რედაქციის მისამართი: თბილისი ფურცელაძის ქ. № 3, ტელ. № 3—67—47.

ნიკ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 31513